პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

სამშაბათი, 29 ივლისი 1924 წ.

წელიწად-მეოთხე

ფასი 3 კაპ. ჩერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი მეომარი

№ 559 ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი ახლად მოსულებთან.

ჩვენი ჯარი შევსებულია ახალ წვეულებით. ესენი ის ნორჩი ახალგაზრდებია, რომელზედაც მომავალში უნდა დავამყაროთ ჩვენი პარტიული მუშაობა სოფლად.

ამათი მოსვლით უნდა ვისარგებლოთ, ვეცადოთ გავაცნოთ მათ ჩვენი პარტია, მისი მიზანი და მისწრაფებანი.

ამნაირი გზით ჩვენ შევძლებთ აღვზარდოთ მათში პოლიტიკურად მომზადებული მოქალაქენი. ბევრი მათგანი შეიქნება ჩვენი პარტიის წევრიც.

ამისთვის კი საჭიროა ჯარში მყოფმა ჩვენმა ამხანაგებმა გამოიჩინონ მთელი თავისი ძალა და შეძლება.

დიდის ყურადღებით უნდა მოვეპყრათ ახლად მოსულს.

ბევრი მათგანი პირველად ხედავს საზოგადოებრივ ცხოვრებას, პირველად არის დაპირისპირებული კომუნისტურ ორგანიზაციებთან.

ეს გვავალებს ჩვენ ისე მოვიქცეთ ჩვენს კერძო ცხოვრებაშიაც, რომ სამაგალითო გავხდეთ ახლად მოსულის თვალში.

რაც შეეხება პარტიულ ცხოვრებას, აქ მუშაობა უნდა დუღდეს და გადმოდიოდეს ისე, ვით არასოდეს.

ზოგიერთ ნაწილებიდან ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ამ მხრივ მუშაობა უკვე გაჩაღებულია.

საჭიროა ყველა ავმოქმედდეთ, გავაძლიეროთ ჩვენი რიგები ახალი ღირსეული წევრებით და შემდეგში კი სოფელს მივსცეთ მომზადებული ძალა, რომელიც ეგზომ ესაჭიროება მას.

მაშ, გაცხოველებული მუშაობა ახლად მოსულებთან პარტიული ხაზით, ეს არის ჩვენი გადაუდებელი ამოცანა.

„საბჭოთა კავშირის თავდაცვა და განმტკიცება იხსნის—მშრომელებს ახალ ომებისაგან“.

რუსეთის რევოლიუციონერის ამხ. პავლოვის დასაფლავება კანტონში.

კანტონში დაასაფლავეს რუსეთის რევოლიუციონერი პავლოვი, რომელიც მსახურობდა სამოქალაქო ომის დროს წითელ არმიაში.

დასაფლავებაზე მონაწილეობდენ სხვა და სხვა მუშათა ორგანიზაციები, სამხედრო ნაწილები და სამხედრო სკოლების მოსწავლეები.

დაესწრო აგრეთვე სუნ-ია-ტსენი, რომელსაც თან ახლდა ჯარების უფროსები და გომინდანის პარტიის ცეკა.

პროცესია, რომელიც მიაცილებდა კუბოს, გაჭიმული იყო რამოდენიმე მილის მანძილზე. კუბოს წინ მიჰქონდათ მიცვალებულის ხმალი და სურათი.

კუბოს უკან მიყვებოდა საპატიო დარაჯები, გომინდანის წევრები და ჩინეთის კომპარტია.

საჰაერო ესკადრილიას უწოდეს „პავლოვის სახელობის ესკადრილია“.

მიცვალებულის ხმალი გადაწყვეტილია მიეცეს უმაღლეს ჯილდოდ რესპუბლიკის საქმეზე დიდი დამსახურებისათვის.

პავლოვის ნეშტი გადმოტანილ იქნება მოსკოვში.

ჩინეთის პრესა აღნიშნავს, თუ როგორ სცემს პატივს ჩინეთის ხალხი უცხოელებს, რომლებიც მათ დახმარებას უწევენ განთავისუფლების საქმეში.

რკპ-ს მოსკოვის კომიტეტის მოწოდება იმპერიალისტურ ომის ათი წლის თავზე.

იმპერიალისტურ ომის ათი წლის შესრულების გამო, მოწოდებაში ნათქვამია: „10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მეორე ინტერნაციონალი ადავიდა ბურჟუაზიულ ბანაკში და უსისინებს სხვა და სხვა ქვეყნის მუშებსა და გლეხებს ერთმანეთის გასაჟლეტად.

ომის ათი წლის თავზე მენშევიკები, ესერები და სხვა ყვითელი სოციალისტები კვლავ ალაპარაკდებიან ბიერად თავიანთ თავდადებაზე ქვეყნის საქმეებისათვის, გადმოისვრიან ახალ დაპირებებს, მაგრამ იმავე დროს მხარს დაუჭერენ მტაცებლურ ვერსალის ხელშეკრულებას, ბურჟუაზიასთან ერთად ხმას მისცემს საფრანგეთის სამხედრო კრედიტებს, გაიღებენ აუარებელ ფულს ახალი კრეისერების, დრედნოუტების და საჰაერო ფლოტის ასაგებად ინგლისში.

ჯერ კიდევ არ მოუშუშებია კაცობრიობას ძველი ჭრილობები, ჯერ კიდევ ივსება ქალაქები და სოფლები ათასობით დასახიჩრებულებით და ობლებით, ხოლო გაბატონებული კლასები ამზადებენ უკვე ახალ სისხლის ღვრას.

კაპიტალისტური ქვეყნების ძალმომრეობა გერმანიაზე, მისი საუკეთესო სამრეწველო ადგილების წართმევა მუდმივი ომის მიზეზი იქნება ცენტრალურ ევროპისთვის. ამავე დროს ყველა კაპიტალისტური სახელმწიფოები კბილთა ღრჭენით უცქერიან საბჭოთა კავშირს, მაგრამ თავიანთი ქვეყნების მუშათა და გლეხთა შიში, აიძულებს მათ აწარმოოს ჩვენთან მოლაპარაკება.

იმპერიალისტურ ომის ჯარის კაცთა მიტინგი.

მოსკოვში შესდგა ყოფილ იმპერიალისტურ ომის ჯარის კაცთა მრავალ რიცხოვანი მიტინგი. მიტინგზე მონაწილეობდენ ყოფილი სამხედრო ტყვეები, საფრანგეთში და ბალკანეთზე ნაომარი ჯარის კაცები.

კომინტერნის სახელით მიტინგს მიესალმა კომინტერნის კონგრესის დელეგატი, ამხ. ბოშკო.

ამხ. ბოშკო ეხლახან ჩამოვიდა სამხრეთ-სლავიიდან და გააცნო მიტინგს ბალკანეთის ცხოვრება.

ბალკანეთის ქვეყნების მუშები და გლეხები სიამაყით შესცქერიან საბჭოთა კავშირს, როგორც მსოფლიო რევოლიუციის დედა-ბოძს.

მიუხედავად მთავრობის სასტიკი დევნისა, ისინი მაინც მიდიან რუსეთის პროლეტარიატის გზით, ვინაიდან მათ ღრმადა სწამთ, რომ ეს არის ერთად ერთი გზა, რომელიც ხელს უშლის იმპერიალისტური ომის შესაძლებლობას.

ამხ. ბოშკოს შემდეგ, ყოფილ რუსეთის ჯარის კაცებმა ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ როგორ იბრძოდენ ისინი სამშობლოში დაბრუნებისათვის და როგორ ამბობდენ უარს იმპერიალისტურ ომში მონაწილეობაზე.

მიღებულ იქნა მიმართვა ახალგაზრდობის, ჯარის კაცების, მატროსებისა და ყველა ქვეყნის მოქალაქეებისადმი, რომლებიც მონაწილეობდენ იმპერიალისტურ ომებში.

მიმართვაში ნათქვამია: „ჩვენ გვახსოვს იმპერიალისტური ომის გაკვეთილები. გამოვიყენოთ ეს გამოცდილება და გამოუცხადოთ მეორე ინტერნაციონალის ვაჟბატონებს: „ჩვენ არ გვაქვს საერთო გზა მათთან, ხოლო, როცა იფეთქებს ახალი ომი, ჩვენ წავალთ ახალი გზით და ეს იქნება მსოფლიო „რევოლიუციის ახალი გზა“.

შემდეგ მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლიუცია მოსალოდნელ ომის წინააღმდეგ, რომელსაც ნიადაგს უმზადებს კაპიტალისტური ქვეყნები.

გამოტანილ იქნა აგრეთვე დადგენილება, რათა მოწყობილ იქნას იმპერიალისტურ ომის ყოფილ მონაწილეთა საზოგადოება, რომელმაც უნდა გააჩაღოს აგიტაცია, რათა არ იქნას ჩათრეული მშრომელი ხალხი ძმათა სისხლის მღვრელ ომში.

„გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას—ერთად ერთ გზას ახალ იმპერიალისტურ ომების თავიდან ასაცილებლად“.

მოკავშირეთა კონფერენცია.

ლონდონის კონფერენციის მდგომარეობა ამ უკანასკნელ დღეებში არ შეცვლილა.

კონფერენციის მახლობელ პლენარულ სხდომაზე გადაწყდება გერმანიის მოწვევა საჩქაროდ კონფერენციაზე მიუხედავად იმისა—მიღწეული იქნება თუ არა შეთანხმება ბანკირებთან.

ამერიკის აზრით დაგვიანება გამოწვეულია პარიზსა და ლონდონს შორის შეუთანხმებლობით.

ამერიკისა და ბრიტანეთის წრეების აზრით დადგა დრო, როცა შეწყვეტილ უნდა იქნას წვრილმანების გარჩევა და დღესვე უნდა იქნას მოწვეული გერმანია კონფერენციაზე.

იურიდიული პრესის აზრით გერმანიამ დღესვე უნდა მოაწეროს ხელი დოუესის გეგმას, ვინაიდან ვალდებულებები, რომლებსაც აკისრებს გერმანიას ეს გეგმა, გამოდიან ვერსალის ხელშეკრულების ფარგლებიდან.

ფიქრობენ, რომ თუ გერმანიას მოიწვევენ დღესვე, მრავალი საკითხი გადაწყდება ბანკირებთან მოლაპარაკების დამოუკიდებლად. ირკვევა, რომ ამერიკის ბანკირები და დიპლომატები ერთნაირად არიან გაღიზიანებული იმ ყალბი მდგომარეობით, რომელშიაც ისინი იმყოფებიან.

ცხადია, მონტერგიუნორმანი უფრო მკაცრად ეკიდება სესხის უზრუნველყოფის საკითხს, ვინემ ამერიკელები;

ფრანგები თავის მხრივ უსაყვედურებენ ამერიკელებს, რომ ისინი სცდილობენ უზრუნველყონ მომავალი სესხის მეპატრონეები.

როგორც არ უნდა იყოს, მდგომარეობა უფრო გარკვეულია, ვინემ აქამდის იყო.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე გარჩეულ იქნება რამოდენიმე საკითხი.

ფიქრობენ, რომ გერმანიის დელეგაცია მიწვეულ იქნება კონფერენციაზე ოთხშაბათს ან ხუთშაბათს.

კონფერენციის წრეებში ფიქრობენ, რომ თვით კონფერენციის მოწვევის ფაქტი ნიშნავს ახალ ერას საერთაშორისო საქმეების განვითარებაში.

წინასწარმეტყველობენ, რომ ბრიტანეთისა და ამერიკის ბანკირთა თანამშრომლობა გამოიწვევს მთელ რიგ ახალ საერთაშორისო ურთიერთობებს.

გუშინ, ორშაბათს დანიშნული იყო მაკდონალდის, ერიოს, ტენისის და კელლოგის თათბირი, რომლის შემდეგაც მონაწილეობას მიიღებენ კონფერენციის პლენარულ სხდომაზე. როგორც სჩანს კონფერენცია გაგრძელდება კიდევ ერთი კვირა, თუმცაღა დელეგატები ჩქარიან უკან დაბრუნებას შინაური საქმეების გამო.

მოკავშირეთა კონფერენციის გარშემო.

იუზმა აცნობა ერიოს, რომ პარიზში მისვლისას, ის გააცნობს პუანკარეს ამერიკის თვალსაზრისს ევროპის სადაო საკითხების შესახებ: ამ საკითხებში შედის სხვათა შორის განიარაღებისა და ომში დამნაშავეობის საკითხი.

ერიომ იმედი გამოსთქვა, რომ ის შესძლებს დაარწმუნოს პუანკარე, რომ საჭიროა უკანასკნელმა შეანელოს თავისი ოპოზიციონური განწყობილება.

„დაუზოგველი ბრძოლა შემთანხმებელთა, საერთაშორისო კაპიტალის მოსამსახურეთა წინააღმდეგ“:

გამოძახილი პარიზში.

პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ამ უკანასკნელ დღეებში არავითარი შედეგები არ ყოფილა მიღწეული.

მსხვილ მრეწველთა წრეები ბრალს სდებენ ინგლისს არა სინდისიერ მოქმედებაში და ამასთან აღნიშნავენ, რომ ინგლისს აინტერესებს არა რეპარაციები, არამედ ის სცდილობს გერმანიასთან ვაჭრობის აღდგენას სარგებლობის მიღების მიზნით.

რადიკალები ბრალ სდებენ ნაციონალურ ბლოკს იმაში, რომ უკანასკნელის მიერ მოწყობილმა რურის ოკუპაციამ შექმნა საფრანგეთის გარშემო საეჭვო ატმოსფერა.

რეაქციონერები თავის მხრივ აცხადებენ, რომ ერიო სცდილობს მხოლოდ დაიცვას თავისი პრესტიჟი, რასაც ის სწირავს საფრანგეთის ინტერესებს.

ჩვენ და ისინი

ჯერ ცნობა-შემდეგ მოლაპარაკება.

გაზეთი „მატენი“, რომელიც მუდამ მტრულად უცქეროდა საბჭოთა კავშირის ცნობას, იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა იცნოს საბჭოთა მთავრობა იურდიულად, რის შედეგაც ის შეუდგება მოლაპარაკებას სადაო საკითხების გადასაჭრელად.

იტალიის მთავრობა ბოდიშს იხდის

იტალიის მთავრობამ მწუხარება გამოსთქვა საბჭოთა ელჩის წინაშე იმ შეურაცხყოფის გამო, რომელიც მიაყენა საბჭოთა ელჩებს ფაშისტების ერთმა ჯგუფმა-ავტომობილიდან წითელი „ფლაგის“ ჩამოხსნით.

ამხ. კარახანი ჩინეთის პრეზიდენტთან.

ხუთშაბათს ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ოფიციალურად მიიღო კარახანი.

დიპლომატიური კორპუსის მეთაური ამ დღეებში გადასცემს ამხ. კარახანს ყოფილი მეფის საელჩოს შენობას.

იაპონია და საბჭოთა კავშირი.

გაზეთების ცნობით, იაპონიის მთავრობამ განსაზღვრა თავისი პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ:

იაპონიას გაჰყავს თავისი ჯარი რუსეთის სახალინის ნაწილიდან, მაგრამ მოითხოვს, რათა საბჭოთა კავშირმა სცნოს იაპონიის უფლება სახალინის ნავთის სამრეწველოების ექსპლოატაციაში.

ეს სამრეწველოები შეიძინა იაპონიის კაპიტალისტებმა იაპონიის კუნძულის სამხედრო ოკუპაციის დროს.

საბჭოთა კავშირმა უნდა იცნოს პორტომუტსკის ხელ-შეკრულება, რომელიც დადებულ იქნა იაპონიასთან, რუსეთ-იაპონიის ომის დროს.

თავის მხრივ იაპონია თანახმაა გადახედოს სხვა ხელშეკრულებებს, რომლებიც დადებულ იქნენ იაპონიასა და მეფის მთავრობას შორის.

ძველი ვალების, პროპაგანდის და სხვა საკითხები, უნდა გაარჩიოს სპეციალურად მოწვეულმა ექსპერტთა კონფერენციამ, როგორც კი მიღწეულ იქნება საერთოდ პრინციპიალური შეთანხმება ორივე ქვეყნის წარმომადგენლებს შორის და ხელმოწერილ იქნება ხელშეკრულება.

იაპონიის ყველა გაზეთები კმაყოფილებით აღნიშნავენ კაბინეტის პოლიტიკის მოულოდნელ ცვლილებას საბჭოთა კავშირის მიმართ.

კარახანის ნოტები ჩინეთისადმი.

კარახანმა მიმართა ჩინეთის მთავრობას ნოტით, რომელშიაც სთხოვს აცნობოს მას დარჩენილი თანხა ბოქსერთა კონტრიბუციისა (ჩინელების აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ევროპის სახელმწიფოებს უნდა გადაეხადათ ერთგვარი კონტრიბუციები), რომელიც უნდა მიეცეს საბჭოთა კავშირს;

მეორე ნოტაში კარახანი წინადადებას აძლევს მინისტრს დანიშნოს კომისია ჩინეთის წარმომადგენლებისაგან ბოქსერთა კონტრიბუციის ანაზღაურების განაწილების საქმეში.

თავის წილის აღებაზე ამ კოტრიბუციიდან, საბჭოთა კავშირმა უარი განაცხადა და შესწირა ის ჩინეთის უნივერსიტეტებს.

საგზაო ხელშეკრულება სსრკსა და პოლონეთს შორის.

მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა სარკინისგზო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის.

ნორვეგიის ელჩი მოსკოვში.

ნორვეგიის ელჩად მოსკოვში დაინიშნა გელსინგფორსში მყოფი ელჩი ურბი.

რადიო ყოველ მხრიდან.

მორგანს გვერდს ვერ აუვლიან.

როგორც საბოლოოდ ირკვევა, საფრანგეთის მთავრობის ცდები, რომ ჩაება სარეპარაციო სესხში სხვა ფინანსიური წრეები, რომლებიც არ მოითხოვდენ ისეთ უფლებებს, როგორც მორგანის ჯგუფი,-დამარცხებით დამთავრდა.

ყველა მსხვილი ბანკირები, მათ რიცხვში გერმანია-ამერიკის ჯგუფიც, მხარს უჭერენ მორგანის გეგმას.

კულიჯს ეჭვი არ შედის.

ამერიკის პრეზიდენტმა კულიჯმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ის სრულიად ნდობით უყურებს ლონდონის კონფერენციის საბოლოო შედეგებს, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა რომლებსაც ადგილი აქვთ შეთანხმების გზაზე.

კულიჯის აზრით დოუესის გეგმის ასრულება აუცილებელია იმდენად, რომ საჭიროა ევროპის ქვეყნების შეთანხმება როგორც, არ უნდა იყოს.

ხმები ნოლლეს გადადგომის შესახებ.

„ერ ნუველეს“ ცნობის თანახმად მაკდონალდი აშკარად მოითხოვს საფრანგეთიდან რურის ევაკუაციას, ამის გამო ლონდონში დადიოდა ხმები საფრანგეთის სამხედრო მინისტრის, ნოლლეს გადადგომის შესახებ. დანამდვილებითი ცნობები ჯერ არ მიგვიღია.

სპარსეთი.

რეიტერის სააგენტოს ცნობით შეერთებული შტატების სახელმწიფოს დეპარტამენტი ემზადება მოსთხოვოს სპარსეთის მთავრობას ზომები, სპარსეთში მყოფ ამერიკის მოქალაქეთა სიცოცხლის დასაცავად.

ეს გამოწვეულია იმ მტრული განწყობილებით უცხოელთა მიმართ, რასაც შედეგად მოჰყვა მაიორ იმბრის სიკვდილი.

„თუ გსურს მშვიდობიანობა—გაამაგრე წითელი არმია“.

საალყო წესები რუმინეთში.

ბუქარესტიდან მიღებულ ცნობით მთელ რუმინეთში საალყო წესებია გამოცხადებული.

ბრაზილია.

მკაცრი ცენზურის გამო, რომელიც შემოიღო ბრაზილიის მთავრობამ, ცნობები რევოლიუციის შესახებ მეტად ბუნდოვანად მოდის.

როგორც ცნობებიდან სჩანს მთავრობის ჰაეროპლანები ბომბებს უშენენ სან-პაბლოს.

სან-პაბლოდან გადიან მშვიდობიანი მცხოვრებლები.

გარდა სან-პაბლოს რაიონისა, საალყო წესები გამოცხადებულია კიდევ 5 სხვა შტატებში, რომელთა მოსახლეობის რიცხვი უდრის 10 მილიონ სულს.

პატიმართა პროტესტი.

ვარშავის ციხეში პოლიტიკურ პატიმრებმა წამოაყენეს მოთხოვნილება, რომლის საპასუხოდ ადმინისტრაციამ გადაიყვანა პატიმართა ნაწილი ცალკე განყოფილებაში, პოლიტიკურებმა შიმშილობა გამოაცხადეს.

ოსმალეთის მისია პოლონეთში.

ვარშავაში მიდის ოსმალეთის სამხედრო მისია გენერალ ნადზი-ფაშას მეთაურობით. სამხედრო მისიამ უკვე იმოგზაურა ინგლისში და საფრანგეთში.

პროპაგანდა ომის წინააღმდეგ.

იმპერიალისტურ ომების ათი წლის თავის გამო, კომპარტიამ გამოაცხადა პოლონეთში ომის საწინააღმდეგო პროპაგანდის კვირეული.

გაფიცვები.

ვარშავიდან მიღებულ ცნობით, პოლონეთის ზემო სილეზიის სამრეწველოებში მოულოდნელად იფეთქა გაფიცვებმა. გაფიცულია 34.000 კაცი. პოლონეთის პრესამ გამოაქვეყნა ტუგუტის განცხადება. ტუგუტი ეხება აგრარულს, ფინანსიურსა და ეკონომიურ მდგომარეობას პოლონეთში და აგრეთვე ეხება უმუშევართა საკითხს.

ტუგუტის აზრით პოლონეთის მდგომარეობა მიმდინარე წელში უფრო ცუდ მდგომარეობაშია ეკონომიურად, ვინემ გასულ წელში იყო.

იუზი.

გუშინ პარიზში ელოდენ სტატს სეკრეტარს იუზს, რომელიც უნდა დაესწროს პარიზში მოწყობილ ზეიმებსა და დღესასწაულებს ამერიკის ადვოკატურის საპატივცემოდ.

მაკდონალდი.

„მატენი“-ს ცნობით, მაკდონალდი დაესწრება ერთა ლიგის კრებას ჟენევაში, გამოივლის რამოდენიმე დღით ლიონში, სადაც შეხვდება ერიოს.

„საბჭოთ კავშირი—მშვიდობიანობის ციხე—სიმაგრე და მედროშეა“.

ვინ დაიწყო მსოფლიო ომი.

1914 წ. 1 აგვისტოს გამოცხადდა ომი, რომლის ალი მთელ მსოფლიოს მოედო. სულ ცოტა ხნის განმავლობაში ომში ჩაერიენ ყველა ძლიერი სახელმწიფონი.

დღეს, როდესაც მუშათა კლასი კომინტერნის მოწოდებით და ხელმძღვანელობით დემონსტრაციას ახდენს ამ ომის ათი წლის თავის აღსანიშნავად, ზედმეტი არ არის ვიცოდეთ ვინ იყო დამწყები ამ ომისა, ვინ არის დამნაშავე მის წარმოებაში და ვის აქვს ხელები გასვრილი იმ მილიონ მშრომელი მასის სიკვდილში და დასახიჩრებაში, რომელიც ამ ომმა, ამა თუ იმ გზით შეიწირა.

ომი არასოდეს არ იყო და არ არის რაღაც მოულოდნელი; პირიქით ომს ნიადაგი ემზადება კარგა ხნობით, მისთვის ემზადებიან წლობით და თვეობით. მხოლოდ ეს მზადება ხდება ნიღაბს ქვეშ და ერთ მშვენიერ დღეს სინამდვილის წინაშე დაგაყენებენ: ჰაერს მოიცავს თოფის წამლის სუნი.

ომს ყოველთვის იწყებს იმპერატორი და კაროლი. ესენი კი არიან მდიდრების, თავადების, აზნაურების, გრაფების, მღვდლების და ბერების მიერ ტახტზე დასმულნი. უკანასკნელნი უმაგრებენ მათ საფუძველს, აძლევენ სესხს ომის საწარმოებლად; სამაგიეროდ მეფეები და კაროლები იცავენ მათ დაქირავებულ მუშებიდან და მშრომელი გლეხობიდან. თუ რომელიმე კაპიტალისტს, დიდი ქარხნის და ფაბრიკების მქონეს, გაეფიცენ მუშები და მოსთხოვეს სამუშაო ქირის გადიდება, მეფე მაშინვე ჯარს გაგზავნის და მუშებს მათრახით, ტყვიით და ციხით გაუმასპინძლდება. თუ გაბედა გლეხმა და ბატონს მოსთხოვა მეოთხედზე მეტი მოსავლისა, მაშინაც, მეფე მემამულეს ჯარს დაახმარებს და „ურჩ“ გლეხობას შეაჩვენებს.

ასე რომ, მეფეები ცხოვრობენ მდიდრებისა და მემამულეების დახმარებით და პირიქით მემამულეები და მდიდრები ცხოვრობენ მეფეების მფარველობით.

ესენი ძმები არიან.

ორივე ერთად გადადიან მალაყს მუშისა და გლეხის ზურგზე.

კაპიტალისტურ წარმოებას ერთი რამ ახასიათებს. რომელიმე ფაბრიკის ან ქარხნის პატრონი ამზადებს საქონელს არა იმდენს, რამდენიც საჭიროა, არამედ იმდენს რამდენიც შეუძლია. კაპიტალისტი არასოდეს არ გამოიანგარიშებს მას, თუ რამდენი კაცია ქვეყნად, რამდენი, ვსთქვათ, ქუდი დასჭირდებათ, რამდენი გასაღდება.

ერთი მექუდე მეორე მექუდეს ეჭიშპება. კერავს აუარებელ ქუდებს, მეორეც, ქიშპობაში ასევე სჩადის. და ბოლოს გამოდის ის, რომ ხალხი უფრო ნაკლებია, ვინემ ქუდები. აქ იბადება ერთი მეორის ინტერესი. იბადება საჭიროება ბაზრის.

ქუდების მაგალითი ჩვენ შეგვიძლია განვასაზოგადოოთ და ვსთქვათ, რომ ქარხნისა და ფაბრიკების პატრონები ქმნიან ბევრად მეტ საქონელს, ვინემ საჭიროა და ეს ზედმეტი საქონელი კი ბაზარს მოითხოვს.

ბაზრის გაფართოვება მოითხოვს ახალი ქვეყნების დაპყრობას, ან საკუთარ გავლენის ქვეშ მოქცევას.

იმპერიალისტური ქვეყნები სწორე ასე შვებიან. იგინი მიადგებიან იმ ქვეყანას, რომელიც ფართე ბაზარს წარმოადგენს. ცდილობენ დაიმორჩილონ იგი, ხელი მოაწერიონ სხვა და სხვა ხელშეკრულობებზე, გამკვიდრდენ იქ და შემდეგ სწუწნონ ნელა-ნელა. ასეთი ქვეყნების დამორჩილება-დაპყრობაში ხანდისხან დაინტერესებულია არა ორი და სამი, არამედ რამოდენიმე სახელმწიფო. აი ეს დაინტერესება, ერთის მხრით და ერთი-ერთმეორის შური, აიძულებს ხოლმე სახელმწიფოებს ეკვეთონ ერთი-მეორეს თოფით და ზარბაზნით.

ამ რიგად ომს ყოველთვის უდევს სარჩულად ეკონომიური სარბიელი. იგი მზადდება დიდი ხნობით და მისი მოლოდინიც ამიტომ ყველამ იცის.

ესე იყო 1914 წ. ომიც. მხოლოდ ხალხის თვალ ასახვევად თვითეული ქვეყნის მეფე გაიძახოდა, რომ კაცთმოყვარეობა და კულტურის შენახვა მაიძულებს ვაწარმოო ხალხის ჟლეტა.

ეს უბრალო ლაი-ლაია.

მათ კარგათ იციან რაც აინტერესებთ, მაგრამ სიტყვას განგებ აგდებენ ბანზე და ხალხის თვალის ახვევას ცდილობენ.

ვინ იჩაგრება ომში?

თავისთავად ცხადია, ომში იჩაგრება ის, ვისაც მისი სიმძიმე აწევს. ომის სიმძიმე კი მთლიანად აწევს მუშათა კლასს.

გამოცხადებული მობილიზაციით გაყავთ ჯარში სოფლის მუშა და გლეხი.

ესენიც სტოვებენ ოჯახს მარტოთ მარტო, იღებენ იარაღს და მიდიან სანგრებისაკენ მეორე ქვეყნის მუშის და გლეხის ამოსაჟლეტად.

ომის წარმოების დროს ერთი ქალაქი ან სოფელი გადადის ხელიდან ხელში. მკვიდრთ არ შეუძლიანთ ქალაქად ან სოფლად გაჩერდენ და აქედან იწყობს დენას ტალღა ლტოლვილთა. უმიწაწყლო და უსახლკაროდ დარჩენილი მუშა და გლეხობა ღია ცის ქვეშ ატარებს თავის განამწარებ წუთისოფელს. მდიდარი კი, რომელმაც ომი დაიწყო და რომლის სასარგებლოდაც იღვრება ზღვა სისხლისა, მშვენივრად მოგზაურობს ქალაქიდან—ქალაქში. მას აქვს ამის შეძლება. აქედან ცხადია, თუ ვინ უნდა იყოს ომის წინააღმდეგი.

მდიდარი არ იქნება, ეს თავისთავად ცხადია.

უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ მუშა და ღარიბი გლეხი.

ეს ასეც არის.

ზემოთ აღნიშნულიდან ჩვენ ვხედავთ, რომ 1914 წლის იმპერიალისტური ომი, დაიწყიათ მეფეებს და კაროლებს მდიდარი კლასის დასაცავად და გასამდიდრებლად.

პიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი წითელი კარი

პირველ ლეგიონში.

სალამოს შვიდი საათი იქნებოდა, როცა საგარნიზონო ყარაულიდან დაბრუნდენ ჩვენი წითელ არმიელები. მათი მხიარული გამომეტყველება იმას მოწმობდა, რომ საყარაულოთ გასვლის დროს ყველა დავალებანი შეუცდომლად და პირნათლად ჰქონდათ შესრულებული, და წითელი მოლაშქრენი კმაყოფილებით აღნიშნავდენ ამას. ამავე დროს ლეგიონში შემოდიოდა „ბატარეა“. მუსიკა გრიალებდა, რომელსაც დროგამოშვებით ფარავდა „ვაშა“-ს ძახილი.

გათავდა ვახშამი, შეწყდა მუსიკის ხმა, „ბატარეა“ წავიდა დასაბინავებლათ, ჩვენი წითელ არმიელები კი კინოსკენ გაეშურენ.

ნელ ნელა ივსება სათეატრო დარბაზი.

აი კიდევაც განათდა ეკრანი. ჩვენ თვალის წინ მიექანება მთელი რევოლიუციონური ხასიათის მოძრაობა. სურათი მეტად საინტერესო იყო. არმიელები კმაყოფილი დაიშალენ. მეც გავეშურე ჩემი ბანაკისაკენ. ერთი კარვის გვერდში მომიხდა გავლა. უნებლიეთ ჩემი ყურადღება მიიქცია საუბარმა, რომელიც კარავში სწარმოებდა წითელ არმიელებს შორის:

„ლადუა ბიჭო, ეუბნება ერთი მეორეს,—რომ არ გინდოდა ჯარში წამოსვლაი, ხომ კარგი ყოფილა, ჰა? შვილოსა წავლა ჩვენ არ გვაკლია, პოლიტსაათი თუ რაღაცაა, თოფის სროლას ვწავლობთ, ტეატრში მივყავართ და რა ვიცი ყველაფერს გვაწავლიან, ყველაიფერსა. შენ კი არ გახსოვს, შევირანა—ერთხელ თოფი რომ გაგასროლიე, და თვალები დახუჭე შიშისაგან“.

— აბა ერთი ახლაც დავხუჭავ აი?—ოო ეხლა, აკი არ მოდიოდი?—ეჰ არ მოდიოდი, მე რა ვიცოდი თუ ასე კარგად გვაწავლიდენ ყველაფერსა. სოფელში სულ მაშინებდენ ძიენ ცუდია ჯარში სამსახური, და განა მე როდის ვყოფილვარ ჯარში, რომ ყაბულს არ ვყოფილიყავი.

— ლადუაჯან, გაეხუმრა მეორე,—ბიჭო ომში, რომ წაგიყვანონ მაშინაც დახუჭავ თვალებს სროლის დროს? მაშინ მე კი არა ჩვენ მტრებს დავახუჭვიებ თვალებსა. იყო პასუხი.

ყოჩაღ ლადუა, ყოჩაღ. კარგად კი უპასუხა მე და ჩემმა ღმერთმა აი? სულ დედას უტირებთ იმ მუშების მტრებსა მაშა!

— ეე ერთი რომ რამე არ იქნეს ერიჰაა—ბიჭებო სულ კორიანტელი უნდა დავაყენოთ განა, ჰ ი, ჰაი რომ დავაყენებთ—გამოეხმაურენ სხვები.

— ღამის თორმეტს გადავიდა. ზოგიერთ კარვებიდან ტკბილი ხვრინვა მოისმოდა მხოლოდ. მეც ფეხ აკრეფით გაუდექი გზას. ლადუა და მისი ამხანაგების კარავი კიდევ ხმაურობდა.

ხვალაც წარმოდგენაა, რომელშიაც ახალ წვეულები ღებულობენ მონაწილეობას.

გ—ძ—ია.

ჩვენი სალამი კარგ მზრუნველს.

ქართულ ცხენოსან ლეგიონიდან გადაიყვანეს სამხკომი ამხ. ს. ბუჭიაშვილი.

მთელი ლეგიონისთვის მეტად საწყენი შეიქნა ეს მოვლენა.

ამხ. ს. ბუჭიაშვილთან გავატარეთ მთელი სამსახური. მისი მამაშვილური ზრუნვა ჯერ მთელი ლეგიონისთვის და შემდეგ კერძოთ თითეული წითელ არმიელისათვის დაუფასებელი იყო. ბევრი კარგი რამ გვახსოვს ამხანაგისაგან და ეს ამაგი ჩვენთვის დაუვიწყარი იქნება.

ქართულ ცხენოსან ლეგიონის მთელი შემადგენლობა ყოველთვის სიამოვნებით მოიგონებს ამხანაგთან ერთად გატარებულ დროს.

ძლიერ სავალალოა ჩვენთვის მისი დაცილება, მაგრამ ერთი გარემოება მაინც გვამხნევებს.

ამხ. ბუჭიაშვილი ისეთივე ტკბილი და კარგი მზრუნველი იქნება სხვასთანაც, როგორც ჩვენთან იყო.

ეს იმედია, რომ გვიშუშებს მისი დაცილებით გამოწვეულ წყლულს.

ჩვენი გულწრფელი სალამი მას.

კლდის ნაგლეჯაძე.

საკავშირო ასეულის აქ დარჩენილ ნაწილში.

25 ივლისს, 1-ლ დივ. საკავშირო ასეულის აქ დარჩენილ ნაწილში შესდგა საერთო კრება, რომელსაც დაესწრენ წითელ არმიელთა გარდა, ნაწილზე მომაგრებული ამხანაგებიც—სერაფიონ ლომიძე და კურასპედიანი.

თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. დარსაველიძე, მდივნად ამხ. ბოჭორიშვილი.

დღის წესრიგში იყო:

1. საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობა.
2. ასეულის ცხოვრება.
3. მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე ილაპარაკა ამხანაგმა კურასპედიანმა.

მან გააცნო კრებას ყრილობის ნაყოფიერი მუშაობა და რეზოლიუციები, მათ შორის კოოპერაციის ბრძანებაზე და წითელი ჯარის გაძლიერების შესახებ.

იყო შეკითხვები, რომლებსაც გაეცა სათანადო პასუხი.

რეზოლიუციის გამოტანა მიენდო პრეზიდიუმს.

ასეულის ცხოვრების შესახებ ილაპარაკა ამხ. აბულაძემ—მან აღნიშნა ასეულის, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ არაა სახელმძღვანელოები პოლიტსაათის საწარმოებლად, რადგან ასეული საკარვოდაა გასული და ბიბლიოთეკა დაკეტილია. შეიძლებოდა კი, რომ გასაღები დაეტოვებინათ რომელიმე პასუხისმგებელ ამხანაგისათვის.

იმედია ბანაკიდან ამხ. სამხკომი მიიღებს ზომებს და არ დასტოვებს უყურადღებოდ აქ დარჩენილებს.

მიმდინარე კითხვებში აღინიშნა წ. არმიელების მომზადების აუცილებლობა წითელი კუთხისთვის, სადაც ისინი მორიგეობით ილაპარაკებენ და გააცნობენ ერთმანეთს თავიანთ მაზრების მდგომარეობას, ბუნებრივ სიმდიდრეებს, მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებს, მათში პოლიტიკურ-კულტურულ მუშაობას და თუ რა ესაჭიროებათ ეხლა და სხვა და სხვა.

ამის მოსაგვარებლად არჩეულ იქნენ რვა ამხანაგები:

ჯალაღაძე, ჩ-ქოვანი, ჩალათაშვილი, რობაქიძე, ქმუტაშვილი, დვალი, აბულაძე და ბოჭორიშვილი.

შემდეგ კრება დაიხურა.

ს.

ჩვენი კედლის გაზეთები.

პირველი დივიზიის ქვე-სადგურის კედლის გაზ. „წითელი მეელსმენე“.

ეს გაზ. ახლად გამოსულია, და როგორც ასეთი, ცოტა მოიმკრთალებს.

მაგრამ იმედია შემდეგში, როდესაც ყველა წ. არმიელები მიიღებენ შიგ მონაწილეობას და სარედაქციო კოლეგიაც ენერგიულად შეუდგება საქმეს გაზეთი გამოკეთდება.

გაზეთის მეთაურში ამხ. ჩ—ნი ეხება თუ რათ არ მოხერხდა დღემდი გაზეთის გამოცემა და მოუწოდებს ამხ. არმიელებს დღეიდან შემოკრბენ გაზ. გარშემო და ყველამ მიიღოს აქტიური მონაწილეობა.

შემდეგ მ-დის ამხ. ჰალარას წერილები, ქონის პირელის და სხ.

თავის წერილში ჰალარა ეხება თუ როგორი გაცხოველებული მუშაობაა სამხედრო ქიმიის დარგში ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში და მოუწოდებს ყველას გვერდში ამოუდგენ საბჭოთა ხელისუფლებას. რათა ჩვენც შევქმნათ ძლიერი სამხედრო ქიმია და საჰაერო ფლოტი.

ამხ. апарати-ის და провод-ის წერილები დაწერილია რუსულათ.

საერთოდ გაზეთს, როგორც ახლად გამოსულს, მეტი არ მოეთხოვება, მაგრამ საჭიროა შემდეგისათვის ყურადღება მიექცეს შემდეგ გარემოებას:

გაზეთის წერილების ასე არევ-დარევა,—ზოგან რუსულათ, ზოგან ქართულად—დაუშვებელია.

შეიძლება ქართულ გაზეთში რუსულადაც წერა, მაგრამ მას განსაკუთრებული განყოფილება უნდა ქონდეს ერთ მხარეზე.

გაზ. თავში დართული აქვს მხატვრობა, რომელიც კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

შაშოშისპირელი.

პარტიული ცხოვრება.

საკავშიროელებში.

20 ივლისს, ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედის მიერ მოწვეულ იქნა კომპარტიის წევრების, ახ. კ. კ. წევრების და კანდიდატების დახურული კრება.

გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: კომინტერნის მე-V კონგრესის მუშაობა კომუჯრედის მუშაობის შესახებ—პრეზიდიუმის გადარჩევა, პარტკორის არჩევა და მიმდინარე საკითხები.

კომინტერნის V კონგრესის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხანაგი სურგულაძე, მან ფართოდ გაგვაცნო კონგრესის მთელი მუშაობის ანგარიშებს.

მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები. კრებამ გამოიტანა სათანადო რეზოლიუცია.

კომუჯრედის მუშაობის შესახებ მომხსენებელი იყო ამხ. მაჩიტაძე. მან ვრცლად გააცნო კრებას კომუჯრედის მუშაობა, რამდენი კრებები იყო მოწვეული, რამდენი ღირსშესანიშნავი საკითხები გარჩეულია, რამდენი წევრები იქნა სხვა და სხვა მიზეზების გამო უჯრედიდან გამორიცხული, რამდენი და როგორი ხასიათის კამპანიები იქნა ჩატარებული კომუჯრედის მიერ და სხვა.

მომხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე ყველა ის დაბრკოლებები, რომლე-

ათი წლის წინად.

27 ივლისს შესრულდა ათი წელი დღიდგან იმპერიალისტური ომის დაწყებისა. პირველი ყუმბარა გავარდა ავსტრია-სერბიის საზღვრებზე, ამას მოყვა ერთ და იმავე დროს გერმანიის და რუსეთის საზღვრების ახმაურება. შემდეგ საფრანგეთ—ინგლისის ზარბაზნებიც ამოძრავდენ, მას მიყვენ ბელგია-ბულგარეთი, ოსმალეთი, იტალია, რუმინეთი და სხვა სახელმწიფოები. ერთი სიტყვით იმპერიალისტური ომის ალში გაეხვია მთელი ევროპა და ნაწილი აზიის (იაპონია და ოსმალეთი) ისტორიას არ ახსოვს ასეთი ომი. ეს პირველი, უსაშინელესი განმანადგურებელი ომი იყო მთელ დედამიწის ზურგზე. ამ სისხლის მღვრელმა ომა, ადამიანთა მსხვერპლის გარდა, მთელი ას წლობით მუშათა კლასის ექსპლოატაციით შექმნილი ქონება მისცა ცეცხლს და ზღვას. დიდი ოკეანე და სხვა პატარა ზღვების ძირები აივსო აფეთქებულ სამხედრო და სავაჭრო გემებით, შეიკრა მთელი ოკეანეს გზები, მიმოსვლა სრულებით შეწყდა. ამავე დროს მთელი რუსეთის უზარმაზარი სივრცე დაწყებული დნეპრის სათავიდან გათავებული სპარსეთის საზღვრებამდი სულ ერთიან სამხედრო ხაზს წარმოადგენდა, სადაც 8-10 მილიონი სალდათი დარაჯათ უდგა საზღვრებს და შეტევებსაც განაგრძობდა. ასეთივე მდგომარეობა იყო შექმნილი მოწინააღმდეგე სახელმწიფოებში. ისინიც ასეთი ძალებით იცავდენ თავის სახელმწიფოს ფარგლებს. მთელი ეს უზარმაზარი მეომარი სახელმწიფოები შედიოდნენ კავშირებში და ამ რიგათ ანადგურებდენ ერთმანეთს. კავშირები შესდგა შემდეგ სახელმწიფოთა შორის: პირველ კავშირში შედიოდენ: რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი, მეორე კავშირი აერთიანებდა გერმანიას, ავსტრიას, იტალიას, და ოსმალეთს; პატარა სახელმწიფოები ზოგი არ ერეოდა ომში, და თუ რომელიმე ჩაერია ყველა სათითაოთ საპატრონო გახდენ დიდი კავშირების და ზოგშემთხვევაში, თუ დარწმუნდებოდნენ რომელიმე კავშირის დამარცხებაში, სწორეთ მის წინააღმდეგ მიიღებდენ მონაწილეობას.

ამ ომში იტალიამ უღალატა გერმანიის კავშირს და ერთი წლის შემდეგ მის წინააღმდეგ გაილაშქრა. ერთი სიტყვით ომში მიიღო მონაწილეობა შემდეგმა სახელმწიფოებმა: რუსეთმა, გერმანიამ, ავსტრო-უნგრეთმა, სერბიამ, ბულგარეთმა, რუმინეთმა, მთა-შაველებმა, ოსმალეთმა, იტალიამ, საფრანგეთმა, ინგლისმა, ბელგიამ, ამერიკამ და იაპონიამ. ყველა ამ სახელმწიფოებმა იარაღში დააყენეს თითქმის 70.000.000 (მილიონი) ჯარი და ეს ხალხის უთვლელი მილიონები ანადგურებდნენ და ხოცავდენ ერთი მეორეს. რისთვის? იმისთვის, რომ გაუმაძღარ კაპიტალს შესძლებოდა ბაზარის გაფართოება და გაბატონება. (ასეთი ომის აუცილებლობა იწინასწარმეტყველა კ. მარქსმა და კიდევაც მოხდა ის).

აქ საინტერესოა თუ რა მონაწილეობა მიიღო ამ ომის წინააღმდეგ მეორე ინტერნაციონალმა, რომელიც მუდამ თითქოს პროლეტარიატის და მშრომელი კლასის ინტერესების დამცველად გამოდიოდა, და აღიარებდა სოციალიზმის უდიდეს ლოზუნგებს: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით. მეორე ინტერნაციონალმა იმის მაგივრად, რომ ეს ლოზუნგი გაეტარებია ცხოვრებაში, უარყო ყოველივე სოციალისტური იდეები და თავის ნაციონალისტურ იმპერიალისტურ ბურჟუაზიას ამოუდგა გვერდში და მოუწოდებდა მუშათა კლასს ბურჟუაზიულ სამშობლოს დაცვისაკენ. მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა ბ. ვანდერველდემ, გედმა, გენდერსონმა და მათ მზგავსმა „სოციალისტებმა“ მთავრობაში შევიდნენ და მიიღეს მინისტრების პორთფელები. ისინი ყოველ ჟამს მზათ იყვენ ომის გაძლიერებისათვის ხელი შეეწყოთ, რომ თავიანთი სახელმწიფოები გამოეყვანათ გამარჯვებული ომში. ამ დროს კი ყველა ქვეყნის ბოლშევიკები სასტიკად ილაშქრებდენ ამ ომის წინააღმდეგ და მოუწოდებდენ მუშათა კლასს მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მიზნით ამხ. ლენინის მეთაურობით ქ. კინტალში და ციმერვალდში (შვეიცარიაში) შეიკრიბა მეორე ინტერნაციონალის მემარცხენე ფრთა და ბოლშევიკების ლიდერები, სადაც მეორე ინტერნაციონალი გამოაცხადეს მუშათა კლასის მოღალატედ და გამოიმუშავეს მოწოდებები ომის წინააღმდეგ, რომელშიაც აღნიშნავდნენ ომის ნამდვილ გამომწვევ მიზეზებს და მიმართავდენ პროლეტარიატს, რომ ომისათვის ომი გამოეცხადებიათ.

ასე სამარცხვინოთ დაასრულა მეორე ინტერნაციონალმა მუშათა კლასის სამსახური და ამიტომ ჩვენ ვამბობთ: ომის დაწყების დღიდან მეორე ინტერნაციონალი მოკვდა რევოლიუციონური პროლეტარიატისათვის.

მხოლოდ ბოლშევიკებმა, როგორც მუშათა კლასის ერთად-ერთმა დამცველებმა, პირდაპირ გამოუცხადეს ომი ომს და დაჰგმეს ყველა ცრუ სოციალისტების ბურჟუაზიული შეხედულებანი.

ბოლშევიკებმა სრული რევოლიუციონური გამბედაობით მიიყვანეს ეს ომი სამოქალაქო ომამდის და დღეს მთელი რუსეთის პროლეტარიატი მშრომელ გლეხობასთან ერთად ზიზღით იხსენიებს წარსულ ათ წელს მომხდარ საერთაშორისო ჟლეტას და მის ხელის შემწყობ გამცემელ პარტიებს, რომლებიც რუსეთში უკვე გააქრო პროლეტარიატის დიქტატურამ.

ს. ლ.

ბიც ხანდისხან ხელს უშლიდენ მუშაობას.

იყო შეკითხვები, და ბოლოს გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, სადაც საერთო კრება დამაკმაყოფილებელათ სცნობს აღნიშნულ მუშაობას.

ინსტრუქციის ძალით საჭირო იყო ახალი პრეზიდიუმის არჩევა. ამხ მაჩიტაძემ გააცნო კრებას, თუ ვის შეეძლო პრეზიდიუმში შესვლა, რის შემდეგ მოხდა არჩევნები. არჩეულ იქნენ: სურგულაძე მაჩიტაძე და კუჭუაშვილი. კრებამ აგრეთვე აირჩია პარტკორი და შემდეგ დაიხურო.

სერმონია.

ბიბლიოგრაფია.

ზ. ჭიჭინაძე. საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები. ტ. 1 „მწიგნობარი“ 1924 გვ. 180

ახალ წიგნებთა შორის, ჩვენს ბაზარზე გამოვიდა და სამხედრო ბიბლიოთეკებმაც მიიღო ზ. ჭიჭინაძის ზემოხსენებული შრომა, მირ. ხუხუნაშვილის რედაქტორობით.

წიგნი გამოცემულია სუფთად და ლამაზათ. ქაღალდი კარგია და წიგნს თან ახლავს რამოდენიმე სურათი, აღებული ქართულ კინო-სურათებიდან, რომლებიც საქართველოს ბატონყმურ ცხოვრებას სახავენ. მიზანი ამ წიგნის გამოცემისა მეტათ სიმპატიურია:—შეკრება ყველა მასალებისა საქართველოს ბატონყმობის შესახებ. ეს ხანა ჩვენი ისტორიისა საერთოთ ნაკლებათ გარკვეულია და კერძოთ ეს საკითხი, ხომ სრულებით ხელუხლებელი. მასალების დაგროება, როგორც რედაქცია გვამცნობს ხდება 6 ტომში, რომელთა გამოცემის დაჩქარება მეტათ სასურველია. პირველ ტომში მოთავსებულია ჩვენი ქვეყნის თითქმის ყოველ კუთხიდან შეკრებილი ცნობები ამ საკითხის შესახებ. საერთოთ ზ. ჭიჭინაძეს შემდეგი წყაროებით უსარგებლია:—1) მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, სამაზრო და საგუბერნიო არქივიდან ამოღებულ მასალებით, 2) მომსწრე და თვით—მნახველ პირთა ნაამბობით და 3) ხალხში ნაპოვნ სხვა და სხვა საბუთებით.

მიზანი, როგორც ვთქვით მეტათ სიმპატიურია და ეს წიგნიც—როგორც მასალა ბატონ-ყმობის ისტორიისთვის მეტათ დამაკმაყოფილებელი. საჭიროა ყოველი მოქალაქის გაცნობა ამ წიგნზე და განსაკუთრებით წითელი არმიელის, როგორც ამბობს თავის მოკლე წინასიტყვაობაში ამხ. მიხა ცხაკაია.

საერთოთ ამ მასალებს დიდი ხალისით ეტანებიან წითელ-არმიელები და მათში ბევრ მოგონებებს იწვევს—ბატონთა და ყმათა დამოკიდებულებიდან.

წიგნს აქვს ნაკლიც. ეს არის ენის მხრივ გრამატიკულ ფორმების არ დაცვა და საერთოთ მეტათ მოძველებულ სტილით წერა. რაიმე წერილობით მასალის გადმობეჭვდა ცხადია შეუცვლელათ უნდა ხდებოდეს, მაგრამ ისეთი ცნობები—რომლებიც ასეთ საფუძველს არ ეყრდნობიან — ლიტერატურულ ენით უნდა იწერებოდეს. რედაქტორი თავის თავს, მხოლოთ მცირე შენიშვნებით მოგვაგონებს და ეს არაა საკმაო... სურათების განაწილებაც არაა სათანადო. უკანასკნელი სურათი—უკანა ყდაზეა—რაც უადგილოა...

ჩვენ მაინც მოუთმენლათ ველით გაგრძელებას...

გრიან.

სამხ. ტრიბუნალში.

ცუდი წითელ არმიელი.

ცალკე საკავშირო ბატარეის წითელი არმიელი ვალერიან კვანტალიანი, მწყობრის თავის, იორდანიშვილთან ერთად გაგზავნილი ყოფილა თფილისში თივის და ქერის მისაღებათ. თფილისში ჩასვლისას მას მოუტყუებია უფროსი, გამიშვი ერთი საათით საქმეები მაქვს მოსაგვარებელი და ეხლავ დავბრუნდებიო. უფროსს გაუშვია ერთი საათით.

ამის შემდეგ ბრალდებული კვანტალიანი აღარ სჩანდა ცამეტი დღე. მეცამეტე დღეზე კი გამოცხადდა თავის ნებით ნაწილში.

სახლში გაპარვისას მას დაუტოვებია ფურგუნზე ქვაბი, კოვზი და სხვ., რომლებიც დაკარგულან.

აღნიშნული საქმე სამხ. ტრიბუნალმა გაარჩია 26 ივლისს. კვანტალიანმა თავი გაიმართლა, თფილისში რკ. გზის სამართველოში ფული მქონდა მისაღები და რადგანაც იქ ანგარიშის გასწორება ვერ მოვახერხე წაველი სამტრედიაში და უნებლიეთ მომიხდა ცამეტი დღე დარჩენაო.

ტრიბუნალმა მიუსაჯა მას ექვსი თვით გამ.—სახლში მოთავსება და ორასი მანეთის ღირებულ ქონების ჩამორთმევა.

≡მეცნიერება და ტექნიკა≡

წყლების ძალის გამოყენება.

ჩვენ ქვეყნებში, რომ დიდი სიმდიდრის მარაგია, ეს ყველასათვის უდავოა. დამუშავება, ხელის განძრევა და პირველად სათანადო რესურსებია საჭირო, თორემ ჩვენი პაწია ქვეყანა ყველაფრის მქონე შეიძლება გახდეს.

სხვას, რომ თავი დავანებოთ, ჩვენ მარტო ადგილობრივი წყლების ენერგიით შეგვიძლია არსებობა.

რამდენი ჩანჩქრები, რამდენი ჩქარი—დიდი და პატარა მდინარეები მოიპოვება ჩვენს ქვეყანაში ვინ დასთვლის. ყოველ ნაბიჯზე შეიძლება ელექტრო სადგურების მოწყობა და მიღებული ენერგიის არა მარტო საკუთარი წარმოებისათვის მოხმარა, არამედ ეს ენერგია შეგვიძლია მეზობელ ქვეყნებსაც გადავსცეთ. ამისთვის საჭიროა სათანადო მონდომება და ენერგია.

დღეს უკვე დაიწყო ჩვენში ამ მიმართულებით მუშაობა საბჭოთა მთავრობამ, და იმედია ღირსეულად შეასრულებს ამ დიდებულ საქმეს.

ამის საუკეთესო მაგალითია, ავჭალის, რიცეულის (რაჭაში) და აბაშის ჰიდრო ელექტრონული სადგურები.

მე მინდა აქ მოვიყვანო მაგალითები იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ წყლებისაგან მოპოვებულ ელექტრონულ ენერგიას შვეიცარიაში, რომელიც ძლიერ წააგავს თავისი გეოგრაფიული პირობებით ჩვენს ქვეყანას.

ამ ჟამად შვეიცარიაზეა დამოკიდებული საფრანგეთის, იტალიის და გერმანიის ზოგიერთ ქალაქების განათების საქმე.

საჭიროა შვეიცარიაში ერთ „კნოპკას“ დააჭიროთ ხელი რომ იტალიის დიდი ქალაქი მილანი იმწამსვე წყვდიადმა მოიცვას. ასევეა სხვაგან.

1921 წ. შვეიცარიიდან უდიდესი დაჭიმულობის გამტართა საშვალებით გადაცემულია—გერმანიაში, საფრანგეთში და ინგლისში ნახევარი მილიარდი კილოუატ-საათი ენერგია. 1922 წ. ელექტრონული ენერგიის ექსპორტი (გატანა) უფრო გაიზარდა.

ამნაირად, შვეიცარიაში მოპოებული ელექტრონული ენერგიის მთელი ერთი მეექვსედი მოხმარდა მეზობელ სახელმწიფოების საჭიროებას.

აქედან აშკარათ სჩანს თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი ქვეყნის წყლებსაც, რომლითაც სრულიად არ ჩამოვრჩებით შვეიცარიას.

ასევე ხდება ამერიკაში, მაგრამ იქ მიუხედავად იმისა, რომ ტეხნიკა თავის განვითარების უმწვერვალეს საფეხურზეა მისული, წყლების ექსპლოატაცია მაინც ვერაა კარგ ნიადაგზე დაყენებული.

მაგალითისთვის საკმარისია დავასახელოთ ნიუიორკის შტატში—მსოფლიოში უდიდესი წყალვარდნილი ნიაგარი, რომელსაც სუსტი მათემატიკური გამოანგარიშებით შეუძლია მისცეს ამერიკას 70 მილიარდი კილოუატი—საათი ენერგია. მაგრამ ეს არაა გამოყენებული, რადგან ამას მოითხოვს ადგილობრივი კაპიტალიზმის ინტერესები.

აქედან აშკარაა თუ კაპიტალიზმი როგორ ეღობება წინ ადგილობრივ საწარმოო ძალების განვითარებას.

იქ სადაც ხალხის კოლექტიური ნება პატრონობს ქვეყნის ავლადიდებას, მხოლოდ იქ არის შესაძლებელი ქვეყნის საწარმოო ძალების სათანადო განვითარება და მისი ნაყოფიერათ გამოყენება.

კაპიტალისტური ქვეყნების ბუნება კი ამას ვერ ურიგდება.

შეიხ.

ქურდობის შემთხვევები და მასთან ბრძოლა.

ქართული ლაშქრის დანაშაულთა სტატისტიკაში ერთი მთავარი ადგილი უკავია ქურდობის შემთხვევებს. ბრძოლა ამ მოვლენის წინააღმდეგ უფრო რთულდება, ვიდრე მაგ. დეზერტირობასთან, რაიც უნდა აიხსნას თვით ამ დანაშაულის ხასიათით, მისი ბუნებით. დეზერტირობა მარტივია, გარკვეული და ძნელათ დასაფარავი, როგორც დანაშაული; ამიტომ მასთან ბრძოლის საშუალებები უფრო მარტივია და გამორკვეული. ეს ბრძოლა შეიძლება ხშირად ძნელი იყოს, ხოლო სიძნელე უკარგავს მას სიმარტივეს. სულ სხვაა ქურდობა. ეს დანაშაული ხასიათდება მალული, დაფარული მოქმედებით და რაც დაფარული და მალულია, იმის გამოცხადება, აღმოჩენა და გახსნა უფრო ძნელი ხდება. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დიდი პროცენტი ამ დანაშაულისა ისპობა დამნაშავის აღმოუჩენლობის გამო და თვით დამნაშავე რჩება დაუსჯელი.

დიდი ნაწილი ამ დანაშაულისა შეიცავს წვრილ, მცირე საღირალ საგნების მოპარვას, თვითეული მათგანი უმნიშვნელოა ზარალის მხრივ, მაგრამ საერთოთ ეს დანაშაული საგრძნობ ზარალს აყენებს სახელმწიფოს.

პირველ ყოვლისა ადმინისტრაცია და მომკვლევი ორგანოები უნდა შეეცადონ დახელოვნდენ კვლევა ძიების წარმოებაში, დროული და წესიერი მოკვლევით აღმოაჩინონ ქურდები. რაც მეტი იქნება აღმოჩენილი და დასჯილი დამნაშავე კანონიერი წესით, იმდენათ ნაკლები იქნება შემთხვევები ამ ბოროტ-მოქმედებისა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი გარემოება. არსებული კანონმდებლობით დანაშაული ქურდობის შესახებ ექვემდებარება სახალხო სამართლოს. მე ვფიქრობ, რომ ეს ქვემდებარება უნდა შეიცვალოს. ისეთ ფართო და მასსიური ხასიათის დანაშაული, როგორიც არის ქურდობა, უნდა დაექვემდებაროს ჯარის ცხოვრებასთან ახლო მდგომ და სამხედრო დანაშაულთა საქმეში უფრო სპეციალურ სამსჯავროს, როგორიც არის სამხედრო ტრიბუნალი. ეს საკითხი დღიურ წესრიგში, უმაღლეს ორგანოებში. თვით რუსეთში ამ აზრს იზიარებენ რუსული ჯარის დამსჯელი ორგანოებში და ჩვენც ამ გზას უნდა დავადგეთ. ბრძოლა ამ დანაშაულის წინააღმდეგ უნდა გადავიტანოთ ამ საქმისთვის უფრო სპეციალურათ მოწყობილ და საიმედო ხელში—ტრიბუნალში.

გარდა ამისა, უნდა მიღებულ იქნას სახელმძღვანელოთ სათანადო ორგანოების მიერ, რომ ქურდობის აღმოუჩენლობის გამო საქმე იშვიათად ისპობოდეს. ნივთები იკარგება ყაზარმაში, სახაზინო შენობაში და დაწესებულებაში; მათი მოვლა, შენახვა და თვალყურის დევნება ყოველთვის დავალებული აქვს თანამდებობით ვისმეს. დამსჯელი ორგანოების რეპრესიული ზომები, დისციპლინარული ან სასამართლოს წესით, უნდა დაეცეს მას, ვისი დაუდევრობითაც ნივთი დაიკარგა. ხშირათ სწორეთ ეს დაუდევრობა და უყურადღებობა არის მიზეზი ჩადენილ ბოროტმოქმედებისა. ამიტომ ბრძოლა ქურდობის წინააღმდეგ უნდა გადავაქციოთ ხშირათ ბრძოლათ დაუდევრობის წინააღმდეგ. მათ უნდა ვაგებინოთ პასუხი სასჯელის მიღებითაც და დაკარგულის ღირებულების ანაზღაურებითაც.

ეს ზომები ასწევს პასუხის მგებლობას შემნახავ და მეთვალყურე პირებისა, მათი სიფრთხილე შეამოკლებს დანაშაულის რიცხვს და სახელმწიფოც არ დარჩება ესოდენ დაზარალებული.

ი. ლორთქიფანიძე.

ახალი ამბები.

— **წიგნების დარიგება წითელ არმიელთათვის.** აჭარის მთავარმა პოლიტგანათლებამ დაურიგა წიგნები 160 უვადო შვებულებაში წასულ წითელ არმიელს.

— **ბოროტ-მოქმედებათა რიცხვი საქართველოში.** 1-ლ ივნისამდე მთელი რესპუბლიკის ფარგლებში ადგილი ჰქონდა 12.279 ბოროტმოქმედებას. აქედან მილიციის მიერ გახსნილია 6.255, გაუხსნელი დარჩა 6.014 შემთხვევა.

— **წყალსადენი სოფლად.** თელავის სამაზრო აღმასკომმა ნება დართო სოფ. კურდღელაურის აღმასკომს გაიყვანოს ადგილობრივი წყალი.

— **მეფუტკრეობა.** შორაპნის მაზრაში, თანახმად მთავრობის ნებართვისა ეწყობა მეფუტკრეობის განყოფილება.

— **ეკლესიის ეზო ბაღათ.** ქალ. ზუგდიდში ყოფილ ეკლესიის ეზოში სწარმოებს მუშაობა ბაღის მოსაწყობათ.

— **ისტორიულ ადგილების მოვლა-პატრონობა.** ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა დაამტკიცა ხარჯთაღრიცხვა ყოფ. გელათის მონასტრის შენობის შესაკეთებლათ.

— **რამდენი ყაჩაღი გამოცხადდა.** ექვსი თვის განმავლობაში მთელ საქართველოში თავის ნებით გამოცხადდა მთავრობასთან 123 ყაჩაღი.

— **სპირტის სახდელი ქარხნის დახურვა.** ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის დადგენილებით ლიკვიდაცია ხდება აბასთუმანის (სამეგრელოშია) სპირტის სახდელი ქარხნის.

— **ბრძოლა ლოთობასთან სოფლათ.** საჩხერის გლეხკომა ლოთობასთან ბრძოლის მიზნით გახსნა წითელი სასადილო. სასადილოს მოწყობის შედეგათ საჩხერეში იხურება სამიკიტნოები.

— **დახმარება ღარიბ გლეხებს.** ივლისის განმავლობაში საჩხერის გლეხკომმა სურსათით, ექიმობით, წამლობით და ფულით 400 მანეთით, აღმოუჩინა დახმარება სოფლის უღარიბეს გლეხობას.

— **სასოფლო-სამეურნეო კულტურა.** ქალ. აღმასკომის აგრონომიული ქვე განყოფილების მიერ მიღებულია ზომები მაზრაში საკვებ მცენარეულთა კულტურის გასავრცელებლათ. ამ მიზნით განზრახულია დათესვა ჰარხლის და სხვა.

— **ბულაჩაურის წყალსადენი.** კომუნალური მეურნეობის განყოფილების მიერ საჭიროთაა ცნობილი 5.000 მანეთის გადადება ბულაჩაურის წყალსადენის გამოსაკვლევათ.

— **ტრამვაის რონოდების შეკეთება.** ივლისის განმავლობაში ტრამვაის სახელოსნოების მიერ შეკეთებულია 15 რონოდა.

— **აბანოების შეკეთება.** ქალ. აბანოების სამმართველომ დაამზადა და ადგილობრივ მიიტანა საჭირო მასალა „გოგილოს“ და ცოვიანოვის აბანოების შესაკეთებლათ.

— **წიგნების გამყიდველთა არტელი.** შრომის ბირჟასთან ეწყობა ტფილისში და პროვინციაში წიგნების გამყიდველთა არტელი.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1300 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე.